ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

წინასწარი რეგისტრაციის სამახსოვრო

- **რას გულისხმობს სტუდენტთა წინასწარი რეგისტრაცია?**
  - წინასწარი რეგისტრაცია გულისხმობს პირველ ეტაპზე:
    - საგნების არჩევას http://lms.tsu.ge/ -ის წინასწარი რეგისტრაციის მენიუში;
    - სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან კონსულტაციას და საგნების არჩევანის საბოლოო სახით დაფიქსირებას.

      სტუდენტი ვალდებულია სპეციალისტის დახმარებით ძირითად ბაზაში ასახოს ცვლილებები ანკეტურ მონაცემებში (მათ შორის ფოტოსურათი).

  - სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან შეთანხმებული წინასწარი რეგისტრაციის შედეგები დასტურდება ორმხრივი ხელმოწერით;
  - წინასწარი რეგისტრაციის მეორე ეტაპზე -
    - ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის ფორმირებას.

- **რა მოხდება, თუ სტუდენტი არ გაივლის წინასწარ რეგისტრაციას?**
  - თუ სტუდენტი დადგენილ ვადებში არ/ვერ გაივლის წინასწარ რეგისტრაციას, მას არჩევანის გაკეთება მოუწევს აკადემიური რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ პერიოდში, დარჩენილი რესურსის ფარგლებში.

- **რა მოხდება, თუ სტუდენტი ვერ/არ გაივლის კონსულტაციას სპეციალისტთან და მხოლოდ წინასწარი რეგისტრაციის ბაზაში აირჩევს საგნებს?**
  - სტუდენტს გაუუქმდება სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან შეუთანხმებული (და ასევე ხელმოუწერელი) არჩევანი

- **როდის და რა პრინციპით მოხდება წინასწარი რეგისტრაციის შედეგების ასახვა სასწავლო პროცესის მართვის მოქმედ სისტემაში ?**
  - ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, ბრძანებით განსაზღვრულ დროს.

- **რა შემთხვევაში არ მოხდება წინასწარი რეგისტრაციის შეთანხმებული შედეგების მოქმედ სისტემაშიასახვა?**
  - წინაპირობის/წინაპირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
  - ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში.

- **სად არის შესაძლებელი სავალდებულო საგნებისა და მათი წინაპირობების ნახვა?**
    - სავალდებულო საგნები რეკომენდირებული სემესტრების მიხედვით და მათი წინაპირობები გაწერილია საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/science/uebav6oegzbbgodth/bachelor/

- **რა შემთხვევაში მოხდება კონკრეტულ საგანზე არჩევანის გაუქმება?**

  წინაპირობის შესრულების შემთხვევაში არჩევანი საგანზე გაუქმდება -
    - რესურსის არ არსებობის შემთხვევაში
    - საგანზე არასაკმარისი რაოდენობის სტუდენტების დარეგისტრირების შემთხვევაში

- **როგორ იქცევა სტუდენტი, რომელიც წინაპირობების გამო ვერ ირჩევს მიმდინარე სემესტრის რეკომენდირებულ საგანებს?**
    - მიზანშეწონილია კონსულტაცია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტთან. შესაძლებელია სტუდენტმა აირჩიოს საფაკულტეტო არჩევითი , მეორადი სპეციალობის ან სხვა ფაკულტეტის საგნები სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე.

- **შეუძლია თუ არა სტუდენტს წინასწარი რეგისტრაციისას გაკეთებული არჩევანის შეცვლა (საგნის,ლექტორის,ჯგუფის...) და რა შემთხვევაში?**
    - არა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არჩევანის განხორციელება შეუძლებელია.

- **როგორ შეიძლება წინასწარი რეგისტრაციის შედეგების გაუქმება, თუ სტუდენტი აუცილებლობიდან გამომდინარე არ/ვერ აგრძელებს სწავლას?**
    - სტუდენტის სტატუსის შეჩერება ავტომატურად იწვევს წინასწარი რეგისტრაციის შედეგების გაუქმებას.

- **ვის მიმართავს სტუდენტი კონსულტაციისათვის?**
    - სტუდენტი მიმართავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტს საბაკალავრო პროგრამების მიხედვით:

- **როგორ ხდება სტუდენტთან დაკავშირება და მისი ინფორმირება რეგისტრაციის პერიოდში ?**
    - სტუდენტთან დაკავშირება და მისი ინფორმირება ხდება ბაზაში მითითებული თსუ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით